

GRASS



საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა - 2018

ავტორები:

ვალერი კვარაცხელია, ვახტანგ დემურია, ეგნატე შამუგია, თეონა აბსანძე

საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS |

GRASS
REFORMANDA



GEORGIA'S REFORMS ASSOCIATES
MULTI PROFILE THINK TANK IN GEORGIA

შინაარსი

მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლები.....	3
გამოყენებულ ტერმინთა განმარტება	4
რეზიუმე	6
მთლიანი შიდა პროდუქტი.....	7
დასაქმების სტატისტიკა.....	9
სამომხმარებლო ფასების დონე (ინფლაცია)	12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.....	13
საშუალო ხელფასი	14
მიმდინარე ანგარიში	16
საგარეო ვაჭრობა.....	16
საგარეო ვაჭრობა რუსეთის ფედერაციასთან	18
სახელმწიფო ვალი.....	19
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება	20
ელექტროენერგეტიკა.....	25
ფულადი გზავნილები	26
სიღარიბის დონე.....	27

მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლები

1 694 202 დასაქმებული ადამიანი

- დაქირავებული: 860 161 ადამიანი
- თვითდასაქმებული: 833 449 ადამიანი

ნომინალური მშპ
41 078 მლნ ლ

- ერთ სულზე: 11 032 ლ
- ერთ დასაქმებულზე: 24 246 ლ
- ერთ ოჯახზე: 37 038 ლ
- გადასახადების წილი: 25.2%

ინფლაცია-ფასების დონის ზრდა
1.5%

- პირველად კალათაზე: 1.8 %
- საკვები პროდუქტები: 1.7 %
- ჯანდაცვა: 2.9 %

დაქირავებულთა საშუალო წლიური ხელფასი
14 424 ლ

- საშუალო ხელფასი OECD: 39 818 \$
- 6 000 ლ-ზე ნაკლები: 556 996 ადამიანი
- 6 000 - 12 000 ლ: 274 107 ადამიანი
- 12 000 - 25 000 ლ: 211 336 ადამიანი
- 25 000 - 40 000 ლ: 54 193 ადამიანი
- 40 000 ლარზე მეტი: 44 197 ადამიანი

სახელმწიფო ვალი 17.95 მლრდ ლ

- მთლიანი ვალი ერთ სულზე: 5 002 ლ
- საგარეო ვალი ერთ სულზე: 3 935 ლ
- საშინაო ვალი ერთ სულზე: 1 060 ლ
- მთლიანი ვალი ერთ ოჯახზე 16 793 ლ

მოსახლეობაზე გაცემული სესხების მოცულობა
14.5 მლრდ ლ

- სესხი ერთ სულზე: 3 898 ლ
- სესხი ერთ ოჯახზე: 13 086 ლ
- მოვალეთა რეესტრში ჩანაწერის ოდენობა: 267 680 ერთეული (მიმდინარეობს აღსრულება)

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

არაფინანსური აქტივების ზრდა - ბიუჯეტის გადასახდელები, რომელიც მიმართულია ისეთი ოპერაციებისკენ, რაც კაპიტალურ ხარჯებს (მრავალწლიან სარგებლობაზე გათვლილი პროექტები) წარმოადგენს - ინფრასტრუქტურის შექმნა, აღდგენა და სხვა.

არაფინანსური აქტივების კლება - შემოსულობები, რომელიც მიღებულია აქტივების გაყიდვიდან (ძირითადად, შენობა-ნაგებობების, მიწის და სხვა აქტივების პრივატიზაცია).

გადასახდელები - ბიუჯეტის მიერ გასაცემი ფინანსური სახსრების ერთობლიობა.

ვალდებულებების ზრდა - შემოსულობები, რომელიც მიღებულია მთავრობის მიერ საშინაო და საგარეო ვალის აღებიდან.

ვალდებულებების კლება - გადასახდელები, რომელიც მიმართულია მთავრობის მიერ აღებული საშინაო და საგარეო ვალის გადახდისკენ.

სახელმწიფო ბიუჯეტი - პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციების განხორციელებისთვის მიღებულ შემოსულობებს, გადასახდელებს და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

შემოსულობები - ბიუჯეტის მიერ მისაღები ფინანსური სახსრების ერთობლიობა.

შემოსავლები - ბიუჯეტის მიერ გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა შემოსავლებიდან მისაღები ფინანსური სახსრების ერთობლიობა.

აქტიურობის დონე - შრომისუნარიან მოსახლეობაში (15 წლის და უფროსი ასაკის) სამუშაო ძალის/ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (დასაქმებულებისა და უმუშევრების ჯამი) წილი, პროცენტული მაჩვენებელი.

დასაქმების დონე - შრომისუნარიან მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი, პროცენტული მაჩვენებელი.

დასაქმებული - დაქირავებული ან თვითდასაქმებული პირი, რომელიც 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა შემოსავლის მიღების მიზნით ან უსასყიდლოდ ეხმარებოდა შინამეურნეობის წევრებს. მათ შორის, ის პირები ვინც სამუშაოზე არ იმყოფება, მაგრამ ფორმალურად ირიცხება მომუშავედ.

დაქირავებული - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების მიღების მიზნით. ასევე, პირი რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს.

თვითდასაქმებული - მესაკუთრის საქმიანობა, მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით.

სამუშაო ძალა (ეკონომიკურად აქტიური) - 15 წლის და უფროსი ასაკის პირები, რომლებიც მუშაობენ, ან მზად არიან სამუშაოდ და ეძებენ სამუშაოს.

სამუშაო ძალის გარეთ (ეკონომიკურად არააქტიური) - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში და არ ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში.

უმუშევრობის დონე - სამუშაო ძალაში უმუშევართა წილი, პროცენტული მაჩვენებელი.

შრომისუნარიანი მოსახლეობა - 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა (გარდა საპატიმროში, სამხედრო ყაზარმებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებში და სხვა მსგავს ინსტიტუციურ დაწესებულებაში მცხოვრები პირები).

ინფლაცია - სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ზრდა.

დეფლაცია - სამომხმარებლო ფასების საერთო დონის კლება.

თვიური ინფლაცია - მოცემული თვის სამომხმარებლო ფასების (ტარიფების) ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა თვის შესაბამისი მაჩვენებლის მიმართ.

პირველადი კალათა - კალათა მოიცავს მხოლოდ იმ ჯგუფებს, რომლებიც სხვებთან შედარებით შესაძლებელია მიჩნეულ იქნას მოხმარების ობიექტურად აუცილებელ კომპონენტებად - სურსათი; კომუნალური მომსახურება; ჯანდაცვა; ტრანსპორტი; კავშირგაბმულობა.

ზოგადი სიღარიბე - ადამიანის დღიური მოხმარება 2.5 დოლარზე ნაკლებია.

უკიდურესი სიღარიბე - ადამიანის დღიური მოხმარება 1.25 დოლარზე ნაკლებია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) - გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში წილის ფლობასა და საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს.

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი - ძირითადი საგარეო პარტნიორების (ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, პოლონეთი) ვალუტების მიმართ ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ინდექსების შეწონილი სიდიდე.

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებას საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ, სამომხმარებლო ფასების ინდექსებს შორის თანაფარდობის ცვლილების გათვალისწინებით. გაანგარიშებაში ჩართულია შემდეგი საგარეო სავაჭრო პარტნიორები: ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, პოლონეთი.

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი - დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების მოცულობა გამოხატული მიმდინარე (საბაზრო) ფასებში.

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი - დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების მოცულობა გამოხატული მუდმივ, რომელიმე საბაზისო წლის ფასებში.

საგასახდელო ბალანსი - საზღვარგარეთიდან მიღებულ ყველა შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობა. ასახავს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანასა და საზღვარგარეთს შორის განხორციელებულ ყველა ეკონომიკურ ოპერაციას - საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაკადების მოძრაობას.

მიმდინარე ანგარიში - საგასახდელო ბალანსის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას, შემოსავლებსა და მიმდინარე ტრანსფერებს.

საგარეო სავაჭრო ბალანსი (წმინდა ექსპორტი) - ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა - დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ჯამი.

M2 (ფართო ფული) - ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში, დამატებული კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე.

OECD - ეკონომიური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია - განვითარებული ქვეყნებისაგან შემდგარი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია. წევრი ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩილე, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ისრაელი, სამხრეთ კორეა, მექსიკა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი;

რეზიუმე


- 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში (ნომინალური მშპ) 41.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 8.5%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მშპ-ს რეალური ზრდა კი 2018 წელს წინა წელთან შედარებით 4.7%-ია.
- 2018 წელს უმუშევრობის დონე 12.7%-მდე შემცირდა, თუმცა აქტიურობის დონის შემცირების (სამუშაოს მაძიებელთა რიცხვის კლების) და არა დასაქმების ზრდის ხარჯზე. დასაქმებულთა ოდენობა 12.4 ათასით შემცირდა, სამუშაო ძალის გარეთ მყოფი შრომისუნარიანი პირების ოდენობა კი 65.1 ათასით გაიზარდა.
- 2018 წელს დაქირავებით დასაქმებამ თვითდასაქმებას 1% პუნქტით გადააჭარბა, რაც დადებითი ასპექტია.
- 2018 წელს, წინა პერიოდში მაღალი ინფლაციის განმაპირობებელი ძირითადი ერთჯერადი ფაქტორის, აქციზის გადასახადის მკვეთრი ზრდის გავლენა, 2018 წლის განმავლობაში თანდათან შესუსტდა და წლიურმა ინფლაციამ წლის ბოლოს მხოლოდ 1.5% შეადგინა, რაც ორჯერ დაბალი იყო მიზნობრივ მაჩვენებელზე. ფასები შედარებით მაღალი ტემპით გაიზარდა თამბაქოსა და ალკოჰოლურ ნაწარმზე (4.9%), ხოლო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჯგუფზე მნიშვნელოვნად შემცირდა (-6.6%).
- 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 1.26 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით 697 მლნ აშშ დოლარით (35%) ნაკლებია. ეს მოცულობა, 2013 წლის შემდეგ ყველაზე მცირეა.
- 2018 წლის ნომინალურმა საშუალო თვიურმა ხელფასმა 1 068 ლარი შეადგინა, რაც 6.9%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს. ფასების დონის ცვლილების გათვალისწინებით კი ხელფასის რეალურმა ზრდამ 4.2% შეადგინა.
- სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 17.7%-ით აღემატება.
- სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ს ქვეყნებთან 4.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი მაჩვენებელს 25%-ით აღემატება.
- 2018 წლის ბოლოს საქართველოს ნომინალურმა სახელმწიფო ვალმა 18.48 მლრდ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 45%-ია.
- 2018 წელს ელექტროენერჯის მოხმარება აღემატება გამომუშავების მოცულობას. წლიურ ჭრილში დეფიციტის ფარდობა ადგილობრივ მოხმარებასთან, წინა წელთან შედარებით 0.65% პუნქტითაა გაზრდილი და 3.55%-ს უტოლდება. წლიური იმპორტის უმთავრესი წილი (82%) აზერბაიჯანზე მოდის.
- 2018 წელს საქართველოში გადმორიცხული თანხა 1.58 მლრდ აშშ დოლარს, საქართველოდან გადარიცხული კი 229.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.
- 2018 წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი თანხა გადმორიცხა: რუსეთის ფედერაციიდან (457.2 მლნ აშშ დოლარი), იტალიიდან (192.8 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (170.8 მლნ აშშ დოლარი) აშშ-დან (159.5 მლნ აშშ დოლარი) და ისრაელიდან (151.4 მლნ აშშ დოლარი)

მთლიანი შიდა პროდუქტი

ეკონომიკური მდგომარეობის, პროდუქტიულობის შესაფასებლად წამყვანი, საერთაშორისოდ მიღებული ინდიკატორი მთლიანი შიდა პროდუქტია (მშპ). მშპ არის წლის განმავლობაში ქვეყნის ფარგლებში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საბოლოო საბაზრო ღირებულება. წინასწარი მონაცემებით 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში 41 მლრდ ლარი შეადგინა¹, რაც 8.5%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მშპ-ს რეალური ზრდა 2018 წელს კი 4.7%-ია, რაც საპროგნოზო მაჩვენებლებს ჩამოუვარდება. ეკონომიკური ზრდის დონე მსოფლიო ბანკის², საერთაშორისო სავალუტო ფონდის³, აზიის განვითარების ბანკისა⁴ და საქართველოს ეროვნული ბანკის⁵ საბოლოო⁶ შეფასებებით, 4.9%-5.5%-ის ფარგლებში იყო მოსალოდნელი.

2018 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპზე, საგარეო ფაქტორებიდან უარყოფითად მოქმედებდა თურქეთში არსებული რთული ეკონომიკური ვითარება. შიდა ფაქტორებიდან აღსანიშნავია არსებითი ჩამორჩენა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისების ნაწილში, აგრეთვე, რეგულირების გამკაცრების ფონზე მშენებლობის სექტორში შემცირებული აქტივობა.

გრაფიკი 1. მშპ-ს დინამიკა 2015-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში⁷ ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (17.0%) და მრეწველობა (17.0%). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10.2%), მშენებლობა (9.3%), სახელმწიფო მმართველობა (8.2%), სოფლის

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. მთლიანი შიდა პროდუქტი:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

² World Bank. 2019. Global Economic Prospects, January 2019: Darkening Skies. Washington, DC: World Bank. doi: 10.1596/978-1-4648-1343-6. License: Creative Commons Attribution CC BY 3.0 IGO, pp 74

³ International Monetary Fund. 2018. World Economic Outlook: Challenges to Steady Growth. Washington, DC, October, pp. 64

⁴ Asian Development Bank. 2018. Asian Development Outlook: Maintaining Stability amid Heightened Uncertainty. Manila, Philippines, pp 212

⁵ საქართველოს ეროვნული ბანკი. 2018. მონეტრული პოლიტიკის ანგარიში. თბილისი, გვ. 5

⁶ საპროგნოზო მაჩვენებლები ახლდება პერიოდის განმავლობაში, 2018 წლის დასაწყისში არსებული ცალკეული პროგნოზები ნაკლები იყო ფაქტიურ ზრდის ტემპზე.


⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. მშპ - მიმდინარე ფასები:

<https://geostat.ge/media/26547/mSp-mimdinare-fasebSi.xlsx>

მეურნეობა (7.7%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (7.4%), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5.8%).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: საფინანსო საქმიანობა (13.5%), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (13.2%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (12.1%), სასტუმროები და რესტორნები (9.7%), ტრანსპორტი (9.4%), სამთომოპოვებითი მრეწველობა (7.6%), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6.2%), ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (5.9%), კავშირგაბმულობა (5.8%). კლება აღინიშნა მშენებლობის სექტორში (-3.1%).

გრაფიკი 2. მშპ-ს დინამიკა კვარტალურ ჭრილში 2018 წელს (მლნ ლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმების სტატისტიკა

2018 წელს უმუშევრობის დონემ 12.7% შეადგინა⁸, ხოლო ამავე პერიოდში დასაქმების და აქტიურობის დონეებმა 55.8% და 63.9%. თავის მხრივ, უმუშევრობის დონის შემცირება ცალსახად დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას არ ნიშნავს, ვინაიდან ამ მაჩვენებლის შემცირება შეიძლება სამუშაო ძალის კლებით იყოს გამოწვეული. უმუშევრობის დონე სამუშაო ძალაში უმუშევართა წილია, ხოლო სამუშაო ძალა დასაქმებულებისა და უმუშევრების ერთობლივი რაოდენობაა. ამასთან, სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოებისთვის უმუშევრად ითვლება ის შრომისუნარიანი პირი, რომელიც სტატისტიკის წარმოებისთვის ჩატარებული გამოკითხვისას წინა ოთხი კვირის გამავლობაში ეძებდა სამუშაოს და მომავალი ორი კვირა მზად იყო მუშაობისთვის. თუ პირი გამოკითხვის მომენტისთვის აღნიშნულ პირობას არ აკმაყოფილებს, ის სამუშაო ძალაში არ ითვლება და უმუშევრობის დონის გამოთვლაში მონაწილეობას არ იღებს (მიუხედავად იმისა, რომ ეს პირი შრომისუნარიანია და სამუშაოს შეთავაზების შემთხვევაში მზადაა დასაქმდეს). ასეთი შემთხვევა, უფრო თვალსაჩინოა იმ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნა დაბალი და არასტაბილურია.

წინა წელთან შედარებით, 2018 წელს უმუშევრობის დონე 1.2% პუნქტით შემცირდა. თუმცა, ამავე პერიოდში აქტიურობის დონეც 1.9% პუნქტით შემცირდა, რაც შრომისუნარიან მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირებას ნიშნავს. ასევე, 2018 წელს დასაქმების დონეც 0.9% პუნქტითაა შემცირებული, რაც შრომისუნარიან მოსახლეობაში დასაქმებულთა წილის შემცირებას ნიშნავს.

გრაფიკი 3: უმუშევრობის, დასაქმების და აქტიურობის დონეები (%)



წყარო: საქსტატი


2018 წლის კვარტალების მიხედვით⁹, დასაქმებისა და აქტიურობის დონის შედარებითი მაღალი მაჩვენებლები II-III კვარტლებში იყო. ამავე პერიოდშიც, უმუშევრობის დონეც შედარებით დაბალ ნიშნულს იკავებდა. თავის მხრივ, I კვარტალი როგორც წესი სეზონურობით ხასიათდება, როცა აქტიურობა დაბალია, ვიდრე II-III კვარტლებში. I და IV კვარტლებში უმუშევრობის დონემ

⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. დასაქმება და უმუშევრობა: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>

⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. დასაქმება და უმუშევრობა: <https://geostat.ge/media/25565/10-ekonomikuri-aqtivoba--Q.xlsx>

14.0% და 12.3% შეადგინა, ხოლო II და III კვარტლებში კი 12.1% და 12.2%. წლიური უმუშევრობის დონე კი ოთხივე კვარტლის საშუალო მაჩვენებლით განისაზღვრება. ანალოგიურად ხდება აქტიურობისა და დასაქმების დონეების წლიური მაჩვენებლების გამოთვლა.

გრაფიკი 4: უმუშევრობის, დასაქმების და აქტიურობის დონეები; 2018 წლის კვარტლები (%)




წყარო: საქსტატი

2018 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 1 694.2 ათასი პირი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 12.4 ათასი დასაქმებულთაა შემცირებული. ამავე პერიოდში, უმუშევართა რაოდენობაც 30.7 ათასი პირით შემცირდა. ამ უკანასკნელის შემცირება კი დასაქმებას არ უკავშირდება, ვინაიდან შრომისუნარიანი პირები სამუშაო ძალის მიღმა აღმოჩნდნენ. ჯამში სამუშაო ძალის გარეთ (ეკონომიკურად არააქტიური პირები) მყოფი შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 2018 წელს 65.1 ათასით გაიზარდა, რაც დასაქმებულთა და უმუშევართა 12.4 ათასით და 30.7 ათასით შემცირებას (ჯამში სამუშაო ძალის შემცირება 43.1 ათასი) და შრომისუნარიანი პირების 22.0 ათასი ზრდას უკავშირდება.

თავის მხრივ, სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური პირები) შემცირება უარყოფითი ეკონომიკური მოვლენაა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ამავე პერიოდში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება. ამრიგად, უმუშევრობის დონის შემცირება არა დასაქმებულთა ოდენობის ზრდას, არამედ სამუშაო ძალიდან შრომისუნარიანი პირების გასვლას უკავშირდება.


გრაფიკი 5: დასაქმების/უმუშევრობის სტატისტიკა (ათასი)



წყარო: საქსტატი

2018 წელს შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობამ 3 034.3 ათასი შეადგინა, სადაც სამუშაო ძალა 1 939.9 ათასი პირია (მათ შორის, დასაქმებული 1 694.2 ათასი და უმუშევარი 245.7 ათასი) და სამუშაო ძალის გარეთ კი - 1 094.3 ათასი პირი.


გრაფიკი 6: დასაქმების/უმუშევრობის სტატისტიკა; 2018 წლის კვარტლები



წყარო: საქსტატი

დასაქმებულები, სტატუსის მიხედვით, დაქირავებულებად და თვითდასაქმებულებად იყოფიან. თავის მხრივ, თვითდასაქმებულთა უმეტესობა სოფლის მეურნეობაში მომუშავე პირები არიან, ხოლო მათი სამუშაო საოჯახო მეურნეობაში უსასყიდლოდ მუშაობას უკავშირდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი პირები თავს დასაქმებულად ნაკლებად მიიჩნევენ და შრომის ბაზარზე უმუშევრებთან შედიან კონკურენციაში. ესე იგი, თვითდასაქმებულთა ნაწილიც, უმუშევრებთან ერთად სამსახურის (დაქირავებით) მაძიებელი არიან. ამრიგად, თვითდასაქმებულთა რაოდენობა ყოველწიურად იკლებს და მათი ნაწილი დაქირავებით დასაქმებაში გადადის. 2018 წლამდე მთლიან დასაქმებაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა. თუმცა, პირველად 2018 წელს დასაქმებაში დაქირავებით დასაქმებულები უფრო მეტია, ვიდრე თვითდასაქმებულები. ვინაიდან დაქირავებით დასაქმება მეტად ეფექტურია თვითდასაქმებასთან შედარებით, აღნიშნული დადებით ტენდენციად უნდა იქნას მიჩნეული. გასულ წელს დაქირავებით და თვითდასაქმება შესაბამისად 50.8% და 49.2%-ს შეადგენს.

გრაფიკი 7: დასაქმებულები სტატუსის მიხედვით (ათასი)




წყარო: საქსტატი

წინა წელთან შედარებით 2018 წელს თვითდასაქმებულთა რაოდენობა 48.2 ათასით შემცირდა, ხოლო დაქირავებით დასაქმება 35.9%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში დასაქმება 12.4 ათასით შემცირდა, ხოლო ამ მაჩვენებელმა სამუშაო ძალის გარეთ გადაინაცვლა.

სამომხმარებლო ფასების დონე (ინფლაცია)

ინფლაცია ეკონომიკაში ფასთა საერთო დონის ზრდაა საბაზო პერიოდთან, როგორც წესი წინა წელთან, შედარებით. ინფლაცია ასევე მოიაზრება, როგორც ფულის მსყიდველობითი უნარის კლება. 2017 წელს მიზნობრივზე მაღალი ინფლაციის განმაპირობებელი ერთჯერადი ფაქტორების, კერძოდ აქციზის გადასახადის მკვეთრი ზრდის გავლენა 2018 წლის განმავლობაში თანდათან შესუსტდა და წლიურმა ინფლაციამ წლის ბოლოს 1.5% შეადგინა რაც 2-ჯერ დაბალია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებელზე.

გრაფიკი 8. ინფლაცია 2010-2018 წლებში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გარდა სამომხმარებლო ფასების ზოგადი დონისა, მნიშვნელოვანია ცალკეულ ჯგუფებზე ფასების ცვლილების ტენდენცია. 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, წლიურად ინფლაციის დონეზე (1.5%) მეტად გაიზარდა ფასები სურსათზე (1.7%); ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე (4.9%); კომუნალურ მომსახურებაზე (3.1%); ჯანმრთელობის დაცვაზე (2.9%); ტრანსპორტზე (1.7%); განათლებასა (1.9%) და სარესტორნო მომსახურებაზე (1.8%). ფასები შემცირდა წინა წელთან შედარებით კავშირგაბმულობის მომსახურებაზე (-2.6%) და ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჯგუფზე (-6.6%). თავის მხრივ, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის ჯგუფზე ფასების ზრდა აქციზის განაკვეთის მატებით არის გამოწვეული, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჯგუფში ფასების დონის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორი კი თურქული ლირის გაუფასურებაა. თურქეთი კი ტექსტილის ნაწარმის ერთ-ერთი ძირითადი მომწოდებელია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2018 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში 1.26 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაფიქსირდა¹⁰, რაც წინა წელთან შედარებით 697 მლნ დოლარით (35%) ნაკლებია. ინვესტიციების ეს მოცულობა, 2013 წლის შემდეგ ყველაზე მცირეა.

გრაფიკი 19: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2015-2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქსტატის განმარტებით¹¹, შემცირების გამოწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა). ამ ტექნიკური განმარტების მიუხედავად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინვესტიციების ნაწილი ქვეყნიდან აქამდეც გადიოდა (იფარებოდა ვალები, სხვისდებოდა კომპანიები), მაგრამ აღნიშნული გადინება სხვა ნაკადებით ბალანსდებოდა, რაც გასულ წელს ვერ მოხერხდა. შესაბამისად, პუის კლება უარყოფითად უნდა შეფასდეს და რეალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყოს ამ ცალსახად უარყოფითი ტენდენციის შემოსაბრუნებლად.

2017 წელთან შედარებით, 2018 წელს 8 უმსხვილესი საინვესტიციო სექტორიდან 5-ში ინვესტიციების კლება აღინიშნება¹². ინვესტიციები შემცირდა შემდეგ სექტორებში: ენერჯეტიკა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, უძრავი ქონება, სასტუმროები და რესტორნები და საფინანსო სექტორი. აღნიშნული მაჩვენებლები, წარმოდგენილია ცხრილ 1-ში.

¹⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: https://geostat.ge/media/26142/FDI_by_Quarters_Geo.xlsx


¹¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. თბილისი. გვ. 1 <https://www.geostat.ge/media/19424/ucxouri-investiciebi-11.03.2019-%28geo%29.pdf>

¹² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით: https://geostat.ge/media/26138/FDI_Geo-sectors.xlsx

საშუალო ხელფასი

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კვარტალურ ჭრილში ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. თუმცა, აქ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ხელფასის ცვლილება ფასების დონის ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით (რეალური ხელფასი). 2018 წლის ნომინალურმა საშუალო თვიურმა ხელფასმა 1 068 ლარი შეადგინა¹³, რაც 6.9%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს. ფასების დონის ცვლილების გათვალისწინებით კი ხელფასის რეალურმა ზრდამ 4.2% შეადგინა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ფულადი სახით ხელფასი გასულ წელთან შედარებით 6.9%-ით გაზრდილია, თუმცა, ამ სახსრებით 4.2%-ით მეტი საქონლისა და მომსახურების შეძენაა შესაძლებელი, ვიდრე მოქალაქე შეისყიდოდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ნაკლები ნომინალური ხელფასის პირობებში.

გრაფიკი 20. საშუალო ხელფასი საქართველოში 2015-2018 წლებში (ერთეული ლარი, %)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქმიანობის სახეების ჭრილში¹⁴ საშუალო ნომინალური ხელფასი გასული პერიოდების მსგავსად ყველაზე მაღალია საფინანსო სექტორში და 2018 წელს 2 236 ლარს უტოლდება. ყველაზე დაბალია ანაზღაურება განათლების სფეროში და 601 ლარს შეადგენს. საქმიანობის სახეების ახალი კლასიფიკაციითაც¹⁵ ყველაზე მაღალი ანაზღაურება, 2 236 ლარის ოდენობით, ფინანსური საქმიანობის სფეროებშია. 1 547 ლარით მეორე ადგილზეა მშენებლობა. ყველაზე დაბალი ანაზღაურება ახალი კლასიფიკაციითაც განათლების სფეროშია და 596 ლარს შეადგენს. ანაზღაურება საშუალო მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით დაბალია სოფლის მეურნეობის სექტორშიც.

აქვე აღსანიშნავია, რომ საშუალო ხელფასი ცალკე აღებულად, არ არის იდეალური მაჩვენებელი დასაქმებულთა მიერ მიღებულ ანაზღაურებაზე წარმოდგენის შესაქმნელად, ვინაიდან მონაცემები საშუალო მაჩვენებლისგან არსებითად არის გადახრილი როგორც მეტობის ასევე

¹³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი: https://geostat.ge/media/27097/01_xelpasi_wliuri.xls

¹⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით. გვ. „საქმიანობის სახე-NACE1“ https://geostat.ge/media/27099/02_xelpasi_wliuril_sakmianoba.xls

¹⁵ Ibid, გვ. „საქმიანობის სახე-NACE2“

ნაკლებობის მიმართულებით. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ხელფასის მიმღებთა დიდი ნაწილი იღებს საშუალოზე გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას. უფრო სრულყოფილი სურათის შესაქმნელად მიზანშეწონილი იქნებოდა საშუალო სიდიდის სხვა შემფასებლების, მათ შორის მედიანური¹⁶ მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციის გაანალიზებაც, თუმცა მსგავსი სახით ინფორმაციის დამუშავებას საქსტატი არ ახდენს.

¹⁶ თუ ყველა დასაქმებულის ხელფასი დალაგდება ზრდადობით, მედიანური ხელფასი არის ის მაჩვენებელი რომელიც რიგითობით შუაზე ყოფს ზრდადობით დალაგებულ მწკრივს, საშუალო ხელფასის შემთხვევაში კი იკრიბება ყველა ინდივიდის ხელფასი და იყოფა ხელფასის მიმღებთა ოდენობაზე. მაგ. 101 ადამიანის ხელფასს თუ დავალაგებთ ზრდადობით 51-ე მონაცემი იქნება მედიანური ხელფასი, საშუალო ხელფასი კი ნიშნავს 101 მონაცემის შეკრებას და გაყოფას 101-ზე. როდესაც ხელფასის მიმღებთა დიდი ნაწილი იღებს მცირე ხელფასს, ხოლო მცირე ნაწილი რამდენჯერმე მაღალს საშუალოზე, როგორც წესი მედიანური ხელფასი უფრო დაბალია ვიდრე საშუალო. მოსალოდნელია, რომ საქართველოს შემთხვევაშიც მედიანური ხელფასი იყოს ნაკლები საშუალო მაჩვენებელზე.

მიმდინარე ანგარიში

ქვეყანაში შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების შესახებ მონაცემები სრულყოფილად საგადასახდელო ბალანსშია მოცემული. საგადასახდელო ბალანსი ერთგვარი ანგარიშია, რომელიც ასახავს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ფულის ნაკადების მოძრაობას. ბალანსი შედგება მიმდინარე ანგარიშის, კაპიტალის ანგარიშის და ფინანსური ანგარიშისგან.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის მუხლს, შემოსავლების და ტრანსფერების მუხლებს. თავის მხრივ, შემოსავლების მუხლი გვიჩვენებს შემოსავლის ნაკადებს საზღვარგარეთიდან (კერძოდ, შრომის ანაზღაურებასა და საინვესტიციო შემოსავალს) და საქართველოდან გადარიცხულ შემოსავლებს. ტრანსფერები მოიცავს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (მაგალითად გრანტები, ფინანსური დახმარებები).

თუ ქვეყნის მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია, ანუ უფრო მეტი ვალუტა გადის ქვეყნიდან, ვიდრე შემოდის, ეს დანაკლისი ფინანსური ანგარიშით იფარება (ინვესტიციებით, ვალის აღებით და ვალუტის რეზერვების შემცირებით). დეფიციტის აღმოფხვრა ვალის აღების ხარჯზე, ყველაზე ნაკლებად სასურველი ალტერნატივაა.

2018 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 1.25 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 7.7%-ს შეადგენს. 2017 წელთან შედარებით, მაჩვენებელი 1.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა. დეფიციტის პროცენტული მაჩვენებლის ცვლილების ტენდენცია ბოლო წლებში პოზიტიურია. 2014-2016 წლებში არსებული ზრდის შემდგომ, 2017-2018 წლებში შემცირების ტენდენციაა გამოკვეთილი.

ცხრილი 2. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

	2014	2015	2016	2017	2018
მშპ (ლარი)	29 150	31 756	34 028	37 847	41 077
მშპ (დოლარი)	16 509	13 994	14 378	15 087	16 207
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (დოლარი)	- 1 790	- 1 696	- 1 847	- 1 316	- 1 247
სხვაობა წინა პერიოდთან (დოლარი)	- 832	94	- 152	531	69
ფარდობა მშპ-თან	10.84%	12.12%	12.85%	8.72%	7.69%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეფიციტის ფორმირების ტენდენციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ წინა წლების მსგავსად უარყოფითი სალდოს გამომწვევ მთავარ ფაქტორად საქონლით ვაჭრობა რჩება. მოცემულ დეფიციტს ნაწილობრივ მომსახურებით ვაჭრობის დადებითი სალდო აბალანსებს, დიდწილად ტურიზმიდან მიღებული სახსრების ხარჯზე.

საგარეო ვაჭრობა


2018 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ¹⁷ 12.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 17 პროცენტით აღემატება. აქედან ექსპორტი 3.4 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს (22.7 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 9.1 მლრდ

¹⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. თბილისი.

გვ. 10 https://www.geostat.ge/media/24972/External-Merchandise-Trade-2018_publication.pdf

აშშ დოლარია (15 პროცენტით მეტი). ზოგადი ტენდენცია დადებითია და ექსპორტი უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე იმპორტი, თუმცა, საწყისი ბაზის ეფექტიდან გამომდინარე აბსოლუტურ მაჩვენებლებში საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო გაზრდილია და საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 2018 წელს 5.8 მლრდ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46.3% შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 2.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

გრაფიკი 21. საგარეო ვაჭრობა 2015-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმპორტული საქონლის ძირითადი ჯგუფების თვალსაზრისით¹⁸, მთლიანი იმპორტის 9.5% ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე მოდის, შემდეგი მნიშვნელოვანი ჯგუფებია: მსუბუქი ავტომობილები (6.6%), სპილენძის მადნები (4.3%), დაფასოებული მედიკამენტები (3.7%), ნავთობის აირები/ბუნებრივი გაზი (3.1%), სატელეფონო აპარატები (2.2%), თამბაქოს ნაწარმი (2%), გამომთვლელი მანქანები (1.4%) და ხორბალი (1.3%).

რაც შეეხება მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებს¹⁹, 2018 წელს, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა, 730 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 11.5%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.7%-ს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 2.6 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია (19.5%-ით მეტი) და მთლიანი იმპორტის 28.8 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 17.7%-ით აღემატება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2018 წლის მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 33%-ით განისაზღვრა.

2018 წელს, საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 1.7 მლრდ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 41.6%-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ქვეყნის მთლიანი ექსპორტში დსთ-ს ქვეყნების წილი 49.9%-ს შეადგენს. იმპორტი 2.7 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა (16.5%-ით მეტი), რაც მთლიანი იმპორტის 29.6%-ს შეადგენს. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 4.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 25%-ით აღემატება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2018 წლის იანვარ-სექტემბერში, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 17.7% იყო.

¹⁸ Ibid, გვ.12

¹⁹ Ibid, გვ. 14

საგარეო ვაჭრობა რუსეთის ფედერაციასთან

რუსეთის ბაზრის სპეციფიურობიდან და არსებული პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ცალკე გაანალიზდეს საგარეო ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. 2018 წელს საგარეო ბრუნვამ რუსეთის ფედერაციასთან 1.34 მლრდ დოლარი შეადგინა რაც მთლიანი საგარეო ბრუნვის 11%-ია და საგარეო პარტნიორებს შორის რუსეთი მეორე ადგილზეა თურქეთის შემდეგ. მთლიანი ბრუნვის 31.8%

ექსპორტზე მოდის. 2018 წლის მონაცემებით რუსეთი მეორე უმსხვილესი საექსპორტო ბაზარია აზერბაიჯანის შემდგომ და ფულად ფორმაში ექსპორტმა 437 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის შესაბამის პერიოდის მონაცემს 10.2%-ით აღემატება²⁰, თუმცა, 14.5-დან 13%-მდე შემცირდა რუსეთის წილი ჯამურ ექსპორტში. მეორე ადგილზეა რუსეთის ფედერაცია იმპორტიორ ქვეყნებს შორისაც, თურქეთის შემდგომ. იმპორტმა რუსეთის ფედერაციიდან 936 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მონაცემს 17.5%-ით აღემატება. 10%-დან 10.3%-მდე გაიზარდა რუსეთის წილი მთლიან იმპორტშიც.

რუსეთის ბაზარზე ძირითად საექსპორტო საქონელს ფეროშენადნობები და ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები წარმოადგენს. საშუალო ფასი (ექსპორტი ფულად ფორმაში შეფარდებული ნატურალურ მოცულობასთან) საექსპორტო საქონელზე 2017-2018 წლებში შედარებით სტაბილური იყო ფეროშენადნობებზე, მინერალურ წყლებსა და სპირტიან სასმელებზე. ყურძნის ღვინოების შემთხვევაში კი საექსპორტო ფასი ლიტრ ღვინოზე 7.5%-ით გაიზარდა და საშუალოდ 2.96 აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქართული ღვინის საშუალო საექსპორტო ფასს ლიტრზე (3.14 დოლარი) 5.7%-ით ჩამოუვარდება.


რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებულ ძირითად საქონელს კი ნავთობპროდუქტები, ხორბალი, ქვანახშირი და სატელეფონო აპარატები წარმოადგენს. სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით საყურადღებოა ფაქტი, რომ რუსეთი წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტის უმსხვილეს მომწოდებელს, როგორცაა ხორბალი. 2017 წელს საქართველოში ჯამში 98.2 მლნ დოლარის ხორბალი და მესლინი შემოვიდა, საიდანაც რუსეთის წილმა თითქმის 100% (97.7 მლნ დოლარი) შეადგინა. 2018 წელს 114.9 მლნ დოლარის ღირებულების ხორბლისა და მესლინის იმპორტი განხორციელდა. რუსეთის წილმა აღნიშნულ მოცულობაში კი 86% შეადგინა.

²⁰ Ibid, გვ. 14

სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო ვალის ნომინალური მაჩვენებლის მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელი საქართველოში 2004-2007 წლებში იკლებდა. ნიშნულმა 2007 წელს საანგარიშო პერიოდში ყველაზე დაბალი მნიშვნელობა მიიღო და 29.5% შეადგინა. ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე 2008-2010 წლებში სახელმწიფო ვალის მშპ-თან მიმართების მონაცემი იზრდებოდა, 2011 წლიდან კი კლების ტენდენცია განაახლა და 2013 წლის ჩათვლით მცირდებოდა. 2014 წლიდან მონაცემი ყოველი წლისთვის იზრდება, რისი განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი ლარის კურსის დოლართან მიმართებაში შემცირება გახდა. 2018 წელს საქართველოს ნომინალურმა სახელმწიფო ვალმა²¹ 18.48 მლრდ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 45%-ია.

გრაფიკი 22. საქართველოს ნომინალური სახელმწიფო ვალის მაჩვენებლები²²



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქსტატი

ვინაიდან საგარეო ვალი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (დოლარი, ევრო, იენი, იუანი) ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება მოცემულ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში გავლენას ახდენს საგარეო ვალის ლარში გამოსახულ მნიშვნელობაზე. თუ ლარის კურსი მომავალში შემცირდება, საგარეო ვალი გაიზრდება ახალი ვალდებულებების აღების გარეშე და პირიქით კურსის გამყარების შემთხვევაში საგარეო ვალი შემცირდება.

ვალის მოცულობის შეფასების ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული ზღვრული ნიშნული რომელიც ითვლება კრიტიკულად არ არსებობს. თუმცა, საქართველოს ორგანული კანონით ეკონომიკური თავისუფლების შესახებ განსაზღვრულია, რომ საქართველოში მთავრობის ვალმა მშპ-სთან მიმართებით არ უნდა გადააჭარბოს 60%-იან ნიშნულს. ამ კანონის მიზნებისათვის მთავრობის ვალი არ მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალს. მოცემული პერიოდისათვის ფაქტიური მონაცემი არ უახლოვდება დადგენილ ზღვარს და არსებული პოლიტიკის პირობებში, ერთადერთი ფაქტორი რომელმაც მოცემული მიმართულებით შესაძლებელია შექმნას პრობლემა, ლარის გაცვლითი კურსია. თუ უახლოეს პერიოდში არსებითად შემცირდება ლარის გაცვლითი კურსი, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საგარეო ვალის ლარში გამოხატული მოცულობაც გადაანგარიშდება ახალი კურსით და მიუახლოვდება კანონით დადგენილ ზედა ზღვარს.


²¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2018. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი: <https://mof.ge/images/File/sagvalebi/External-Debt-12-2018.pdf> & საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი: <https://mof.ge/5157>

²² კონკრეტულად 2018 წელს კურსის მერყეობას არ მიუღწევია იმ მასშტაბისთვის, რომ ვალის ცვლილების ტენდენციაზე გავლენის თვალსაზრისით მიზანშეწონილი იყოს მისი განხილვა, როგორც ფაქტორის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების²³ შესრულებამ 102% შეადგინა, სადაც შემოსავლები 102.7%-ით შესრულდა. მათ შორის, გადასახადების შესრულება 102.2%-ია, ხოლო გრანტები კი გეგმასთან შედარებით 97.5%-ით შესრულდა. რაც შეეხება ვალდებულებების ზრდით (ვალის აღება) ბიუჯეტის მიერ მისაღებ შემოსავლებს, გეგმასთან მიმართებით 94.5%-ით შესრულდა. აღსანიშნავია, რომ ვალდებულებების ზრდის დაბალი შესრულების მაჩვენებელი საგარეო წყაროებიდან მისაღები სახსრების დაბალი, 91.7%-იანი შესრულებით არის გამოწვეული (მათ შორის, საინვესტიციო გრძელვადიანი კრედიტები, რომლებიც მიბმულია სახსრების ფაქტიურ ათვისებასთან).


გრაფიკი 23: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება (%)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა²⁴ 12.7 მლრდ ლარი შეადგინა, სადაც 83.5%, 10.5 მლრდ ლარი შემოსავლებიდან და 14.8%, 1.8 მლრდ ლარი ვალის აღებიდან მიღებული ფინანსური სახსრებია. დანარჩენი 220.1 მლნ ლარი, 1.7% კი არაფინანსური და ფინანსური აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალია.

გრაფიკი 24: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (მლნ ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

²³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2019. საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა: <https://mof.ge/images/File/biujeti-12tve-2018/TAVI%20I.DOCX>

²⁴ საქართველოს სახელმწიფო სახაზინო სამსახური. 2019. საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=18166

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულებამ 102.2% შეადგინა. გადასახადების სახეების მიხედვით მაღალი შესრულების მაჩვენებელია მოგების გადასახადის შემთხვევაში, სადაც ამ გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა გეგმასთან მიმართებით 116.9% შეადგინა. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის შესრულება 103.5%, ხოლო დღგ-ს 100.6% და აქციზის 101.1% იყო.


გრაფიკი 25: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულება (%)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების უმეტესი ნაწილი მოხმარების დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლებია. 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 60.8% დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადების წილია, ხოლო საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები კი საგადასახადო შემოსავლების 37.3%-ია. გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტმა დამატებული ღირებულების გადასახადიდან 4.4 მლრდ ლარი მიიღო, ხოლო საშემოსავლო გადასახადიდან კი - 2.8 მლრდ ლარი.


გრაფიკი 26: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების²⁵ შესრულებამ 101.0% შეადგინა, სადაც მიმდინარე ხარჯების შესრულებამ 98.2% შეადგინა. გასული წლის ბიუჯეტის გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის (კაპიტალური ხარჯები) 117.4%, ხოლო ვალდებულებების კლებამ (ვალის დაფარვა) კი 99.1% შეადგინა.


გრაფიკი 27: სახელმწიფო ბიუჯეტი გადასახდელების შესრულება (%)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 12.5 მლრდ ლარი შეადგინა, სადაც 75.8%, 9.5 მლრდ ლარი მიმდინარე ხარჯებია, ხოლო კაპიტალური ხარჯები კი 15.2%, 1.9 მლრდ ლარი. დანარჩენი, 9% კი ფინანსური აქტივების ზრდა და ვალის დაფარვის ხარჯებია, სადაც ფინანსური აქტივების ზრდა 381 მლნ ლარი და ვალდებულებების კლება 753.1 მლნ ლარია.

გრაფიკი 28: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

²⁵ საქართველოს სახელმწიფო სახაზინო სამსახური. 2019. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება: http://treasury.ge/common/get_doc.aspx?doc_id=18175

სექტორების მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში²⁶ ყველაზე მაღალი წილი სოციალურ დაცვას უჭირავს. 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალური დაცვის ხარჯმა 2.7 მლრდ ლარი შეადგინა, რაც გადასახდელების 23.6%-ია. აქვე აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ეს მაჩვენებელი 25.6% იყო, რაც შემდეგი ორი წლის მანძილზე შემცირდა. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური დაცვის შემდეგ 19.6%-იანი წილი საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას უჭირავს, რომლის ხარჯებმა 2.2 მლრდ ლარი შეადგინა. ასევე, ბოლო ორი წლის მანძილზე ეკონომიკური საქმიანობის ხარჯების წილი გაიზარდა, რამაც 2018 წელს ბიუჯეტის 15.5% შეადგინა. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა 1.1 მლრდ ლარი, რაც ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის 10.0%-ია.

გრაფიკი 31: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (% , მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების სფეროს ხარჯებმა 1.26 მლრდ ლარი შეადგინა (11%). თავის მხრივ, ეს მაჩვენებელი 2018 წელს წინა წელთან შედარებით 0.6% პუნქტით არის შემცირებული.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების ხარჯებმა (პოლიცია, სასჯელაღსრულება, სახანძრო-სამაშველო, სასამართლოები, პროკურატურა და სხვ.) 10.2% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0.8% პუნქტით არის გაზრდილი. 2018 წელს აღნიშნული ხარჯის მოცულობა 1.1 მლრდ ლარია. რაც შეეხება თავდაცვის სფეროს, 2018 წელს თავდაცვის ხარჯებმა ბიუჯეტის 6.3% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია. 2018 წელს წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 1.2% პუნქტით შემცირდა. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვის დაფინანსებამ მხოლოდ 724.2 მლნ ლარი შეადგინა.

2018 წლის ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გათვალისწინებული სახსრების ათვისების კუთხით არსებული პრობლემები. გასულ წელს ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ 1.66 მილიარდი ლარი შეადგინა და ოფიციალური მონაცემით, ბიუჯეტი 104.89%-ით შესრულდა, თუმცა, დეკემბერში სამინისტროს ბიუჯეტის გეგმა


²⁶ ტერმინში გადასახდელები და ბიუჯეტი, ბიუჯეტის სექტორული ანალიზის მიზნებისათვის იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების მუხლის გარეშე.

დაზუსტდა და 230.9 მლნ ლარით შემცირდა. არსებობს ეჭვი, რომ ბიუჯეტის დაზუსტება სწორედ გეგმის ფორმალურად შესასრულებლად განხორციელდა. გარდა ამისა, ბიუჯეტიდან ბოლო ერთ თვეში „ათვისებული“ იქნა 658.4 მლნ ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტის 41.6%). აღნიშნული თანხები ბიუჯეტიდან დიდი ალბათობით გეგმიდან ჩამორჩენის შესამცირებლად გადაირიცხა, თუმცა მათი რეალურად ათვისების კუთხით დასაბუთებული კითხვები არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული ბიუჯეტის კაპიტალური ნაწილი 2018 წელს მხოლოდ ფორმალურად შესრულდა. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ათვისების ნაწილში არსებითი ჩამორჩენა უარყოფითად მოქმედებდა ეკონომიკის ზრდის ტემპზე.

ელექტროენერგეტიკა

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორი 2019 წლის იანვრის მდგომარეობით, ისევე როგორც გასული წლის ანალოგიური პერიოდისათვის დეფიციტურია, თუმცა, საკუთრივ დეფიციტი ჯამური მოხმარების 13.3%-დან 12%-მდე შემცირდა. მიმდინარე წლის იანვრის ადგილობრივმა მოხმარებამ 1.14 მლრდ კვტ.სთ შეადგინა²⁷ რაც 138 მლნ-ით ჩამოუვარდება ამავე პერიოდისათვის საქართველოს ელექტროენერჯის გენერაციის ობიექტების მთლიან გამომუშავებას. შესაბამისად, ენერჯის კარგვის გათვალისწინებით დეფიციტის აღმოსაფხვრელად საჭირო წმინდა იმპორტის მოცულობამ 182 მლნ კვტ.სთ შეადგინა, რაც 9.9%-ით ნაკლებია გასული პერიოდის ანალოგიურ მონაცემზე.

გრაფიკი 32. ელექტროენერჯის ბალანსი (მლნ კვტ.სთ)



წყარო: ესკო

აღსანიშნავია, რომ იანვრის მთლიანი ადგილობრივი მოხმარებიდან 254 მლნ კვტ.სთ (22.1%) აფხაზეთის მომარაგებაზე მოდის, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში აფხაზეთს 247 მლნ კვტ.სთ ენერჯია მიეწოდა, რაც ჯამური ადგილობრივი მოხმარების 21.1%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ იანვარში აფხაზეთის ა/რ-მა გასული წლების მსგავსად ენჯურისა და ვარდნილის ჰესების კასკადის ჯამური გამომუშავების თითქმის 100% მოიხმარა. თებერვლის მდგომარეობით კი შემცირებული შემოდინებისა და კაშხალზე წყლის დონის კრიტიკულად შემცირების ფონზე, ენჯურჰესის გამომუშავება საკმარისი არ აღმოჩნდა მოხმარების სრულად დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, ერთი მხრივ მოხმარების შესამცირებლად აფხაზეთი გრაფიკით ელექტროენერჯის მოხმარებაზე გადავიდა, მეორე მხრივ მიწოდების შესანარჩუნებლად ქართულმა მხარემ (ესკო) აფხაზეთისათვის მისაწოდებლად 45 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯია რუსეთიდან შეისყიდა. რაც შეეხება ელექტროენერჯით ვაჭრობას, იანვარში ელექტროენერჯის ექსპორტი არ განხორციელებულა, იმპორტირებული 182 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯის 97% კი აზერბაიჯანის წილია. წლიურ ჭრილში დეფიციტის ფარდობა ადგილობრივ მოხმარებასთან 2018 წელს წინა წელთან შედარებით 0.65% პუნქტითაა გაზრდილი და 3.55%-ს უტოლდება. წლიური იმპორტის უმთავრესი წილი (82%) ასევე აზერბაიჯანზე მოდის.


²⁷ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი. 2018. ელექტროენერჯის ბალანსი:

<https://esco.ge/ka/energobalansi/by-year-1/2018-energy-balance>

ფულადი გზავნილები

ფულადი გზავნილების მაჩვენებელი ასახავს საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედი ელექტრონული ანგარიშსწორების საშუალებებით (Western Union, Money Gram, Anelik, Unistream და სხვა) საზღვარგარეთიდან საქართველოში და პირიქით ფულადი გზავნილების მოცულობას.

გრაფიკი 33. ფულადი გზავნილების დინამიკა 2015-2018 წლებში (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების დინამიკა წლიდან წლამდე მზარდია და აღნიშნული მაჩვენებელი, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფარვის ერთერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. 2018 წელს საქართველოში გადმორიცხულმა თანხამ 1.58 მლრდ აშშ დოლარი, საქართველოდან გადარიცხულმა კი 229.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა²⁸. გადმორიცხვების თვალსაზრისით, რუსეთი სტაბილურად ლიდერობს. 2018 წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი თანხა გადმორიცხა²⁹: რუსეთის ფედერაციიდან (457.2 მლნ აშშ დოლარი), იტალიიდან (192.8 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (170.8 მლნ აშშ დოლარი) აშშ-დან (159.5 მლნ აშშ დოლარი) და ისრაელიდან (151.4 მლნ აშშ დოლარი).

²⁸ საქართველოს ეროვნული ბანკი. 2019. ფულადი გზავნილები თვეების მიხედვით:

https://www.nbg.gov.ge/uploads/moneytransfers/money_transfers_by_months_geo.xlsx

²⁹ საქართველოს ეროვნული ბანკი. 2019. ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით:

https://www.nbg.gov.ge/uploads/moneytransfers/money_transfers_by_countries_geo.xlsx


სიღარიბის დონე

2011-2015 წლებში საქართველოში სიღარიბის შემცირების ტენდენცია იყო. 2016-2017 წლებში ქვეყანაში სიღარიბის დონე გაიზარდა. 2018 წელს კი სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის წილი ისევ შემცირდა.

იუნისეფი საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას 2009 წლიდან იკვლევს. კვლევა ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. სიღარიბის დონე სამომხმარებლო ხარჯების ანალიზის საფუძველზე ფასდება. უკიდურეს სიღარიბედ მიიჩნევა, როდესაც ადამიანი დღიურად 1.25 დოლარზე ნაკლებს ხარჯავს (რაც ერთ ზრდასრულ პირზე თვეში დაახლოებით 83 ლარს შეესაბამება). ზოგადი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია 2.5 დოლარი დღეში (რაც ერთ ზრდასრულ პირზე თვეში 165.5 ლარს შეესაბამება).

იუნისეფის მონაცემებით, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები 2011-2015 წლებში მუდმივად მცირდებოდა. თუმცა, 2017 წელს, 2015 წელთან შედარებით, სიღარიბის დონე გაიზარდა. 2017 წლის კვლევის თანახმად, ზოგად სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის წილი 18.4%-დან 21.7%-მდე გაიზარდა³⁰. განსაკუთრებით გაიზარდა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის წილი. უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს მოსახლეობის 5%, ეს მაჩვენებელი 2015 წელს 2.1%, ხოლო 2013 წელს 3.9% იყო. იუნისეფმა სიღარიბის ზრდის გამომწვევ მიზეზებად ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება და გაზრდილი სამომხმარებლო ფასები დაასახელა.

გრაფიკი 34: უკიდურესი და ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლები 2009-2017 წლებში




წყარო: იუნისეფი - "მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევები"

საქსტატი აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლებს აქვეყნებს. აბსოლუტური სიღარიბე აჩვენებს მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს საარსებო მინიმუმს ქვემოთ. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 21.9% აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. 2011-2015 წლებში აბსოლუტური სიღარიბე ყოველწლიურად მცირდებოდა, 2016 წელს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი მცირედით გაიზარდა, ხოლო 2017 წელს სიღარიბის დონე თითქმის იგივე ნიშნულზეა. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოს

³⁰ გაეროს ბავშვთა ფონდი. 2017. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა. თბილისი. <https://www.unicef.org>

მოსახლეობის 20.1% აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს³¹. ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 1.8% პუნქტით არის შემცირებული.

გრაფიკი 35: აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები 2010-2017 წლებში



წყარო: საქსტატი

ფარდობითი სიღარიბე აჩვენებს მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობას მათ საშუალო მოხმარებასთან. ღარიბად ითვლება ის, ვინც მთლიანი მოსახლეობის მედიანური (საშუალო) მოხმარების 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს. ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი, 2012-2015 წლებში, ყოველწლიურად მცირდებოდა. 2016 და 2017 წლებში კი, სიღარიბის დონე გაიზარდა. 2018 წელს ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი 1.8% პუნქტით შემცირდა და 20.5% შეადგინა.

³¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. ცხოვრების დონე:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>